გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

„Иверія“ (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ეკუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორგა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



გაზეთი „ივერია“ პირველის ივლისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

სურათებიანი

## „ვეფხის-ტყაოსანი“

ძვირფასს უდაში,

გამოცემული

### გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზინისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილა პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

## ცდა

(კრებული)

II

ფასი წიგნისა 50 კაპ.

(10—10)


## ახალი ამბავი

** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის გუბერნატორი ამ ზაფხულს მთელის ტფლისის გუბერნიის შემოვლას აპირებს და ადგილობრივად უნდა შეიტყოს და გამოიძიოს ხალხის ყოველივე საჭიროება და წუხილი. ამ აზრით თ. შერვაშიძე უკვე გამგზავრებულა ახალციხისკენ, საიდგანაც ჰნახავს ახალქალაქის მაზრასაც, კარგა ხანს დაჰყოფს „დუხობორებში“ და შემდეგ თიანეთისა და ბორჩალოს მაზრებში წაბრძანდება. გუბერნატორს თან ახლავს თავისისავე კანცელარიის გამგებელი ბ-ნი კუდრიავცევი.

** გუშინ-წინ, 3 ივნისს, პირველი წარმოდგენა გამართა ტფილისში ჩამოსულმა მოსკოვის საოპერეტო დასმა და ითამაშა სამ მოქმედებიანი ოპერეტი „სერაფიმა“. ამ წარმოდგენაზედ ქართულს თეატრში საკმაო ხალხი დაესწრო და ყველამ დიდად ისიამოვნა ქ-ნ ბელსკაიასი და ბ-ნ როდონის ხელოვნურის თამაშობით. ასე მწყობრად, ასე მშვენიერად ჯერ არ გვინახავს ეს საუცხოვო ოპერეტი წარმოდგენილი. როდინის ყოველი მიხვრა-მოხვრა სიცილსა და ხარხარს იწვევდა საზოგადოებაში და ქ-ნმა ბელსკაიასამ ხომ აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება. ტაშისცემის და ზოგიერთის ადგილების საზოგადოების თხოვნით განმეორებას დასასრული არა ჰქონდა. დღეს წარმოსადგენად დანიშნულია სამ-მოქმედებიანი ოპერეტი „მშვენიერი ელენე“.

** ამბობენ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის თანამდებობა კავკასიაში გაუუქმებიათ. ამის იქით ტყისა და გლეხების სააღგილ-მამულო საქმეების გამგებელი დ. ს. ს. მედვედევი იქნება და სამეურნეო და საძოვარ ადგილებისა დ. ს. ს. მოროზი.

** ტფილისის პოლიცია აპირობს სახლის პატრონებს დაავალოს ცნობების შეკრება ყველა იმ მოსამსახურის შესახებ, რომელიც იმათ სახლში იმყოფება. ამ საგნისათვის განსაკუთრებული ნუსხა იქნება გაკეთებული და იქ უნდა აღინიშნოს მოსამსახურის სახელი, გვარი და აგრეთვე ისიც, თუ სად სცხოვრობს იმისი ოჯახი, ვინ მისცა პასპორტი, ვის ემსახურება და სხ.

** გუშინ ტფილისზე გადაიარა ყარაიდგან ფრთა-შესხმულმა კალიამ და ქართლისაკენ წავიდა. ნაშუადღევის სამ საათიდამ საღამოს შვიდის საათის ნახევრამდე არ შეწყვეტილა კალიის მსვლელობა.

** ბათუმი: ამას წინად აქ ერთმა ახალგაზდა ფრანგმა, გვარად ბერტიენ, ზღვაში თავი დაირჩო. როგორც დატოვებულ წერილიდგან სჩანს, უნუგეშო სიყვარულის გამო მოუკლავს თავი. ბელგიელი ქალი, რომელიც ამას ჰყვარებია, ტფილისის ერთ ოჯახში ყოფილა აღმზრდელად და ეხლა სხვაზე დანიშნულა.

** სოფ. თასმალო (ზაქათ. მაზრა): მოგვივიდა სასიამოვნო ამბავი, რომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას ჩვენთვის მაისის გასულს მღვდლის დანიშვნა გადუწყვეტია. აქამდის ჩვენ მაჰმადს თაყვანსა ვცემდით ოფიციალურად, მაგრამ, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი მეზობელი სოფლელები, საიდუმლოდ ვაღიარებდით ქრისტიანობას. ეხლა, იმედია, ეკკლესიის აგებისა და მღვდლის დანიშვნის შემდეგ ყველანი ისევ მამა-პაპის რჯულს დავუბრუნდებით. მღვდლის გამწესების გამო ხალხი დიდი მადლიერია მამა ლეონიდისა და საქართველოს ქრისტიანობის უმაღლესის მთავრობისა.

** სოფ. კაკი: პარკის მოსავალი საშუალო იყო. ფუთი ისყიდება: იაპონიის ჯიშისა 7—10 მან. და იტალიის თესლის ჯიშისა 14—16 მან. ყანები მშვენიერი მოგვივიდა. ბრინჯი (ჩალთუქი) საამურად ბიბინებს. ხილი მრავალია, მეტადრე თხილი და კაკალი. ვენახებზე ბლომად გვისხია. საუბედუროდ, ახლად გაშენებულ ვენახებს ნაცარი გამოაჩნდა. ხალხმა წამლობა არ იცის. რქოსან საქონელს ზოგიერთ სოფელში ჭირი გამოაჩნდა. ხალხი ჯან-მრთელად არის, ხოლო ისინი, რომელნიც ზამთარში ინფლუენციით ავად იყვნენ, დღესაც სუსტობენ და უძლურად არიან. წარსულ კვირას მამასახლისის არჩევანი იყო. წინანდელმა თითონვე თავი დაანება, ავადმყოფობის გამო. ახალ მამასახლისად აირჩიეს იასე ოთარაშვილი, ჯერ ისევ ახალ-გაზდა, მაგრამ კეთილ-სინიდისიერი კაცი. სოფელს ახალი მამასახლისისა დიდი იმედი აქვს. ეხლა ხან ალაზნისპირში ერთი ლეკი შუადღისას დაიკარგა. დღესაც არ იციან, მიწამ შთანთქა თუ ვეშაპმა გადაყლაპა. ჩვენში ერთი თათარი გაგიჟდა და თავისი რძალი აკუწა ხანჯლით.

** ბარის ოსები: ეს ერთი კვირაა, რაც დაიწყეს ქერის მკა და თიბვა; თთვის მოსავალი ბარის ოსებში მშვენიერია, ამინდიც ზომიერი დაუდგათ, მხოლოდ გარშემო რუსის სოფლები უჩივიან მოსავალს.

** კაგკაგი: პირველს მკათათვეს, სამხედრო სასამართლომ დარჩობა გადაუწყვიტა იმ სანებელ ოსს, რომელმაც ამას წინად კავკავს გარედ ბაღში ხუთი სული ერთად დახოცა.

** სოფ. მაკვანეთი (ოზურგეთის მაზრა): მაკვანეთლებს უთხოვნიათ ბ-ნ მაზრის უფროსისთვის, გვიშუამდგომლე გუბერნატორის წინაშე და სთხოვე, რომ ნება მოგვცეს კერძო სასწავლებელი გავხსნათო. ძალიან მოგვეწონა სწორედ მაკვანეთლების განზრახვა და, რასაკვირველია, ბ-ნი მაზრის უფროსიც ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს. სასურველია, რომ სხვა ახლო-მახლო სოფლებიც მაკვანეთის მაგალითს მიჰბაძავდნენ.

** ოზურგეთი: თითქმის თითვე არ გავა ისე, რომ სხვა-და-სხვა ქვეყნის მაინც ხალხი არ გვესტუმროს გურულებს. ივნისის დამდეგს მოვიდნენ ბოლგარიელები და ქ. ოზურგეთის მახლობლად დაბინავდნენ. ამათში მამათა სქესი სპილენძის მჭედლები იყვ-

## ფელეტონი

### იავი

(ტუსაღის დღიური*)

დრო გადის... რა აზრი აქვს იმ ქარიშხლის აწერას, რომელშიაც ჩემი პატიოსნება დაიღუპა, დოღზედ სანაძლეო წავაგე. დანაშაული გამომიძლავნდა. დამაპატიმრეს, განმასამართლეს და ციხეში ამომიკრეს თავი, ციხეში, სადაც საშინელი წამება გამოვიარე და საიდგანაც მხოლოდ მკვდარი დავაღწევ თავს.

დიაღ, საზარელი ტანჯვა გამოვიარე, ტანჯვა სინანულისა-კი არა, არც თავისუფლების დაკარგვისა და არც ავაზაკთა შორის ყოფნისა, არა, მე იჭვი მტანჯავდა და მაწამებდა, ეს ყველა ტანჯვასა და წამებაზედ უსაშინელესი და უბოროტესი გრძნობა.

ეს გრძნობა წინად სულ არ გამოშეცადა და მარგარიტას თავის შვიდის თთვის ჩემთან ცხოვრების განმავლობაში არასოდეს არა ჩაუდენია-რა ისეთი, რომ ეს გრძნობა აღმძვრიყო. კოპწიაობა და სხვის თავს ბრუს დასხმა სულ არ უყვარდა.

რასაც მოველოდდი ადრევე, ამიხდა კიდეც. ჩემმა საქციელმა მარგარიტა დიდად აალელვა და აშკარად დაარწმუნა, რა ძალიან მიყვარდა. სასამართლოში იგი გულ-წრფელადა ჰღვრიდა ცრემლებს და ჩემს დაღუპვას თავის თავს აბრალებდა. შეიძლო თუ არა ჩემის საპატიმროში ნახვის ნება რთვის აღება, მაშინვე მოვიდა და რკინის მოაჯირიდგან კარგად გავარჩიე იმისი მწუხარებისაგან ფერმიმკრთალი სახე. ძლივს, ახლა-კი ვუყვარვარ! დარწმუნებული ვიყავი, რომ ვუყვარდი.

მახსოვს, პირველად ერთმანეთი რომ ვნახეთ. მწუხარედ და ნაღვლიანად შევცქეროდით ერთ-ურთს მოაჯირიდგან, რომელსაც გაშორებული ვყავდით.

— მაშ მცირედ მაინც გიყვარვარ? მაშ მართალია? ვეკითხებოდი აღელვებული.

— უფრო მეტად და უფრო უკეთ, ვიდრე წინად მიყვარდი, შენ თითონ დარწმუნდები.

— წინად ძალიან გულ-ცივად მეპყრობოდი.

— შენმა საქციელმა ერთიან გამომცვალა! განა წარმოვიდგენდი-კი, რომ ისე საშინლად გეყვარებოდი?.. სცადე და აშკარად დაინახავ.

— მარტო ერთი რამ დამარწმუნებს.

— რა?

— ჩემს განთავისუფლებას რომ მოუცადო და არ მიღალატო, არავისზედ გამცვალო...

— სიტყვას გაძლევ, რომ აგრე მოვიქცევი... გეფიცები!

— კარგია, მაგრამ რითი იცხოვრებ?

— ვიმუშავებ.

— შენა და მუშაობა, ჩემო საბრალო მარგარიტავ?

— კერვა ვიცი... აი თორემ ჰნახავ.

იგი ერთის კვირის უკან კიდევ მოვიდა ჩემს სანახავად, ხელთათმანები გაიძრო და ნემსისაგან დაჩხვლეტილი თითები მაჩვენა. მითხრა, რომ მკერვალთანა ვმუშაობ, უკვე დღეში ერთს მანეთს ვიღებ და პატარა ხანს შემდეგ-კი უფრო მეტს მომცემენო.

— ამ ფულით ცხოვრება ადვილად შეიძლებაო, ამბობდა ღიმილით: რასაკვირველია, ქეიფით ვერ ვიქეიფებ... მაგრამ იმისი გული ვისა აქვს!.. ეხლა მხოლოდ ერთად ერთი რამ მენატრება... დაეს ნატვრა ის არის, რომ ვესიამოვნო და გული მოვუგო ჩემს სატრფოს.

სიტყვა „ჩემს სატრფოსაო“, რომელსაც წინად ისე გულგრილადა და ურცხვად ამბობდა, ეხლა ხმის აკანკალებითა და აღელვებით წარმოსთქვა: თვალზედ ცრემლის კურცხალი მოადგა. აწი-კი რაღას დამაკლებს ეს საპატიმრო, ეს პატიმარის ფარაჯა, ავაზაკებთან ერთად პურის ჭამა და თუნდა საუკუნოდ ბნელი და უძილო ღამეებიც! მარგარიტას ვუყვარვარ, თავის საზრდოს შრომითა ჰშოულობს, დღითი-დღე მიმელის და პატიოსნებას არ უნდა უღალატოს! დასჯილი ვარ, ვიტანჯები, მაგრამ სასჯელსაც ბოლო მოეღება და იმის გულში მოვიკიდებ მკვიდრს ბინას, იმის გულში რომელიც განწმენდილი და გადახალისებულია ახლა შრომისა და სიყვარულის შემწეობით! განა შესაძლებელია ასეთი ბედნიერება?

ოო, ეხლა-კი უდრტვინველად შემიძლიან ავიტანო ეს ღირსეული სასჯელი. ჩემის პატიმარობის თვით უდიდესის მწუხარების დროს მარგარიტას მოვიგონებდი ხოლმე და იმედი სიამოვნებას მომფენდა. ჩემი საზარელი ამხანაგები გაოცებით მკითხავდნენ ხოლმე, აგრეთი ბედნიერი სახე რადა გაქვს და ღიმილს რა გგვრისო!

დიაღ! მე, ფარაჯიანი ტუსაღი, ის ტუსაღი, რომელსაც დარაჯები რისხვით შესძახიან, „აქეთ წამოდი“, ან „შესდექო“, და ძაღლსავით ეკიდებიან,—სიცოცხლის სიტკბოება და ოცნებაში ვიყავ.

ასეთმა მდგომარეობამ დააჩქარა ბ-ით ორ თთვეს გასტანა. მარ

*) იხ. „ივერია“ № 140.

ნენ, ხოლო დედათა სქესი მარჩიელები. ამიტომ კაცი და ქალი მოეფინა ახლო-მახლო სოფლებს და დაიწყეს მათხოვრობა, მკითხაობა, გაცვლა-გამოცვლა და ქურდობა. ერთის სიტყვით, თითქმის აგვიკლეს. დაგვიხსნა ღმერთმა და დიდის საჩივრებით მოვიცილეთ ოცის დღის შემდეგ. არ გასულა მერე ათი დღე და ახლა სპარსელები გვესტუმრენ. ამ ჩვენს ახალ სტუმრებში თითქმის ნახევარი ბრმა, ყრუ, კოჭლი და მახინჯია. საკვირველი ის არის, რომ ერთ დედ-მამას რვა შვილი ჰყოლია და ამათ შორის ხუთი ვაჟი ბრმა და სამი ქალი-კი თვალ-ხილული. დაესივნენ ესენიც ხალხს და არ აძლევენ საშველს გამვლელ-გამომვლელს. ზოგი იპარავს, ზოგი მკითხაობს, ზოგი თხოულობს, ერთის სიტყვით, სიცოცხლე მოგვაძულეს. კარგი იქნება, რომ მაზრის უფროსმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

*** ერთს მუწოელ ახალგაზდას, აქო ჯალშერიშვილს, შეჰყვარებია სოფ. ჯაყელში (თიონ. მაზ.) მცხოვრებელის ჩოჩი ბორძაშვილის ქალი საბედა. ბევრს ეცადა თურმე შეყვარებული, მაგრამ ქალის მშობლები ვერა და ვერ დაიყოლია. კანონიერის ღონის-ძიებით რომ ვერას გამხდარა გულ-დამწვარი ახალგაზდა, გადაუწყვეტია ქალის მოტაცება. ამიტომ მალ-მალე თურმე დაიარებოდა ჯაყელისკენ, სოფლის ახლო-მახლო დადიოდა და დროსა და შემთხვევას ეძებდა, რომ თავის განზრახვა აესრულებინა. ბოლოს ამ დღეებში ჩვეულებრივ ხეტიალის დროს აქოს ჩოჩი და [illegible] ვე თოფი უსროლია, მამა წაუქცევია და საბედას დასაჭერად გამოსდგომია, მაგრამ აქაც ბედს უღალატნია: თოფის ხმაზე და ქალის ჭყივილზე ხალხი საჩქაროდ მოგროვილა, დაუჭერიათ და გამომძიებელთან მიუყვანიათ. („ახ. მიმოხ.“)

*** დღეს მოგვივიდა თორმეტი მანეთი და ათი შაური, წინამძღვრიანთკარის სკოლის სასარგებლოდ შეგროვილი სოფ. ბახვში ბ-ნ გ. შარაშიძის მიერ. აი შემომწირველთა სიაც: მღვდელი დიმიტრი ქიქოძე—1 მ., ესმა ქიქოძე—1 მ., ისიდორე ქიქოძე—2 მან., გრიგოლ შარაშიძე—2 მ., იაგორ ჭელიძე—1 მ., ალექსანდრე სულუხია—1 მ., ილიანე მაქ. ინწკირველი—50 კაპ., ალფეს მიქელაიშვილი—50 კაპ., კოწია თავართქილაძე—50 კაპ., იოსებ ხომერიკი—40 კაპ., ვარლამ ჭელიძე—50 კაპ., გერასიმე დოლიძე—50 კაპ., კოწია ჯაკელიძე—20 კაპ., ალექსანდრე ინწკირველი—20 კაპ., ბესარიონ ინწკირველი—20 კაპ., ილიანე ანდღულაძე—50 კაპ., ივანე ქაიხ. ბოლქვაძე—50 კაპ., სულ 12 მანეთი 50 კაპ.

◆◆

## წიგნის საწყობების დაარსების გამო

ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხიდგან თითქმის ყოველ დღე მოგვდის საჩივარი, რომ საკითხავ წიგნებსა ვართ მოკლებულნი, ვერსად გვიშოვია სიახლოვეს სასყიდლად და ქალაქიდგან გამოწერა ხომ ძნელიც არის და სადავიდარაბოცაო. მკითხველს, უეჭველია, ეხსომება საჩხერიდგან მოწერილი ამბავი, რომ ერთი ცალი დედაენა სამ-ოთხ აბაზად იყიდება საჩხერეშიო. ფოთელი კორესპონდენტიც სჩივის, რომ, ხეირიან წიგნის საწყობის უქონლობის გამო *), მთელი სამეგრელო უწიგნოდ არის დარჩენილიო. ხალხში წიგნის კითხვის სურვილი-კი ისე დიდია, რომ დუშეთში, როგორც გვწერს ჩვენივე კორესპონდენტი, ჯარის კაცნი ხშირად ნაპოვნ გაზეთის ნაფლეთებს კითხულობენ და ამით იკლავენ კითხვის წყურვილს. თვით ამ სტრიქონების დამწერი დარწმუნდა, თუ რა დიდია ხალხში სურვილი წიგნის კითხვისა. ქარელის რკინის სადგურ- [illegible] ლაც ვაჭარს**) მოეტანა თალათინის პარკუჭანათი რამდენიმე ცალი სახარებისა, დავითნისა და სხვა საღმრთო რჯულის წიგნებისა და ერთ წუთში ხუთი-ექვსი ცალი სახარება და დავითნი იყიდეს იქვე რკინის გზის სადგურის მოსამსახურეებმა. ხშირად გაგვიგონია აგრეთვე, რომ რკინის სადგურებზედ ძალიან ბლომად იყიდება ქართული წიგნებიო.

ზემო ნათქვამი ცხადად ამტკიცებს, თუ რამდენად საჭიროა არამც თუ ჩვენ პროვინციალურს ქალაქებში და დაბებში ხეირიან წიგნის საწყობების გამართვა, არამედ დიდ სოფლებშიაც, სადაც მკვიდრთა რიცხვი ხუთას კომლობით ითვლება, როგორც, მაგ., ქიზიყში. ამ გვარის წიგნის საწყობების დაარსება დაბა-ქალაქებში ისე სასარგებლო და საჭიროა, რომ თქმა და ლაპარაკი მეტი-ღა იქნება, საჭიროა მხოლოდ, რომ ეხლავე შეუდგეს ვინმე ერთგულად ამ კეთილს საქმეს და დაამთავროს იგი, რომ ეს კეთილი სურვილი და სამართლიანი ჩივილი ცარიელ სიტყვების რახა-რუხად არ გაჰხდეს.

ჩვენის აზრით, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მოვალეა მიაქციოს ამ საგანსაც ყურადღება, და თავის პროვინციის აგენტების შემწეობით რიგიანად მოაწყოს ეს საქმე და მით დააკმაყოფილოს ხალხში ახლად აღძრული სურვილი; თუ რომელისამე მიზეზით ხსენებულ „საზოგადოებას“ არ შეეძლება იტვირთოს და მოაწყოს ეს საქმე, მაშინ, ცხადია, თვით საზოგადოება და კერძო კაცნი არიან ვალდებულნი თითონ ითაონ ეს საქმე. ეს დიდად სასარგებლო და საჭირო საქმე ისეთი მარტივია, რომ იმის სისრულეში მოყვანას არც დიდი ჭკუა უნდა, და არც დიდი გამჭრიახობა. საჭიროა მხოლოდ მცირეოდენი ცდა და გარჯილობა.

Z

*) იმის სიტყვით, ბ-ნ ნოდიას წიგნის მაღაზია ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას.

**) შეიძლება ეს მოვაჭრე „ბიბლიის საზოგადოების“ აგენტიც იყო.

◆◆

## დაბა ტ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბათუმი, 3 ივლისი ერთად-ერთი სასეირნო ადგილი, სადაც ბათუმელებს შეუძლიანთ სული თავისუფლად მოითქვან ამ პაპანაქება სიცხეში, ბულვარია. წამწუხაროდ, ბულვარს მწარე ბედი მოელის, თუ საქმეს დროზე არ ეშველა. ვიღაც სულის მტერს ქალაქის საბჭოში შეუტანია ესრედ წოდებული «პროექტი», რომ ნება მომეცით ბულვარის ერთ კუთხეში ქალაქის საკლუბო შენობა დავდგაო. ჩვენმა ქალაქის თვით მართველობამაც აილო და დართო ნება „პროჟექტორს“ შენობის აგებისა. სამწუხარო ისაა, რომ, როდესაც ეს გარდაწყვეტილება დაადგინა საბჭომ, თითქმის ყველა ხმოსანი იქ იყო, და არავინ-კი წინაამდეგი აზრი არ წარმოსთქვა. როდესაც გავრცელდა ხმა, რომ ბულვარში სხვა-და-სხვა შენობას ააგებენო, მთელი ქალაქი აღელდა. ერთად-ერთი სასეირნო ალაგია ბულვარი და ისიც უნდათ შენობებით გაჩხირონო, გაისმოდა ჩივილის ხმა. ეს საყვედური შეისმინა რამდენმამე ხმოსანმა და შეიტანეს საბჭოში აზრი, რომ არ ვეთანხმებით საბჭოს გადაწყვეტილებასაო. იმედია, ბათუმის თვით მმართველობაც შეისმენს სამართლიანს სამდურავს ბათუმელებისას და არ მოაკლებს ქალაქს ერთად-ერთ სასეირნო ადგილს, რადგან, თუ დღეს საზოგადო კლუბის აშენების ნებას დართავენ, შემდეგში, უეჭველია, სამხედრო კლუბიც მოითხოვს იმავე ბულვარში ალაგს.

ჩვენს ქალაქში იმისთანა ქუჩები მოიძებნება, რომელსაც თავის დღეშიაც არ მოხვედრია ცოცხი. საზოგადოდ ბათუმის ქუჩებს სიბინძურითა და ჭუჭყის მხრით პირველობა უნდა დაეთმოს მთელს საქართველოში. ურიგო არ იქმნება, ჩვენმა ქალაქის თვით-მმართველობამ ამ გარემოებასაც ყურადღება მიაქციოს და ქალაქის გასუფთავებას და გაწმენდას მიჰყოს ხელი. მართალია, ჩვენში დიდი ხანია, რაც დაარსებულია სანიტარული კომისია, მაგრამ მისის მოქმედებისა ჯერჯერობით მაინც არა ისმის-რა.

ორიოდე სიტყვა ბ-ნ იაკოვლევის მკვლელობის გამოც. აი საქმე როგორ იყო: ბ-ნი პოკატილოვი და მისი სტუმარი იაკოვლევი შუშა ბანდიან ბალკონზე ისხდნენ და სადილს შეექცეოდნენ. ამ დროს ერთი უბრალო ტანისამოსა უცხო ადამიანი, გვარად მოტოვილოვი, ცოტა შეზარხოშებული, მიეიდა მოსადილეებთან და ცეცხლი სთხოვა პაპიროსის მოსაკიდებლად. მოსადილეთ მოტოვილოვის თხოვნა დიდად იუცხოვეს და უშვერის სიტყვებით დაუწყეს ლანძღვა. ჩხუბს აქედგან გამოება თავი, შეჰყვნენ ლაპარაკს და პოკატილოვმა საშინლად სცემა მოტოვილოვს, ასე რომ სულ კინწის კვრით გააგდო ჭიის კარიდგან. შერცხვენილი და ნაცემი მოტოვილოვი წავიდა, მაგრამ მალე ისევე დაბრუნდა რევოლვერით. ეს რომ მოსადილეთ დაინახეს, უცბად წამოცვივდნენ და შეცვივდნენ ოთახში. პოკატილოვის ცოლმა ბავშვები გადასხა ფანჯრიდგან, თვით პოკატილოვიც გადახტა იმავე ფანჯრიდგან, ძირს დაეცა და წვივი ილრძო. მოტოვილოვს ოთახში მარტო იაკოვლევი-ღა დახვდა და ორჯელ ზედი-ზედ დაახალა რევოლვერი. სასიკვდილოდ დაჭრილმა იაკოვლევმა დიდხანს ველარ იცოცხლა და ვერც არაფერი სთქვა სიკვდილის წინ. თვით ბ-ნი მოტოვილოვი ისე იყო აღელვებული ამ ამბით, რომ გამომძიებელს ვერაფერი პასუხი ვერ მისცა. ვერა სთქვა რა იმის შესახებ: თუ რად ჩაიდინე ეს მკვლელობაო. ამბობენ-კი, ვითომც მოტოვილოვს ეთქვას: დიდად ვსწუხვარ, რომ იაკოვლევს მოხვდა ტყვიაო.

იაკოვლევის მოკვლას რუსულმა გაზეთებმა რაღაც გაუგებარი და რომანტიული ფერი დასდეს. ზემო ნათქვამიდგან ნათლადა სჩანს, რომ ეს ამბავი სრულიად უბრალო მკვლელობაა. მოტოვილოვი კაი შეძლებული კაცი ყოფილა, ნაფიცრალი. მეტისმეტად დიდი შეურაცხება მიაყენა პოკატილოვმა და, გულ-მოსულსა და თავ-დავიწყებულს მოტოვილოვსაც თავის შეურაცხმყოფელის ჯავრის ამოყრა მოინდომებინა და რევოლვერიც-კი ეხმარა. როგორცა სჩანს, მკვლელს პოკატილოვის მოკვლა სდომებია და იაკოვლევი-კი შემთხვევით მოუკლავს, ბრაზმოსულს თავი ველარ შეუმაგრებია.

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის მე-134 №-ში პოლიციის ამბებში სხვათა შორის მოხსენებული იყო, რომ შუა ბაზარში სოფ. ბ.ნძის მცხოვრებელს მიქამეს ჩხუბი მოუვიდა ალექსანდრე კალანდარაშვილთანაო. რადგან მეც ალექსანდრე კალანდარაშვილი გახლავართ და ჩემს მახლობელთ, ნაცნობთ და თვით ჩემს უფროსებსაც-კი ჰგონიათ, ვითომ მე მეჩხუბნოს, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, სიმართლის აღსადგენად, მცირე ალაგი მისცეთ ამ წერილს: მე ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ვმსახურებ და სწორედ იმ დღეს, როცა მიქამეს და ვიღაც კალანდარაშვილს ჩხუბი მოსვლიათ, სამსახურის გამო, ბათუმში ვიყავი. სრულიად არ ვიცნობ იმ კალანდა-

---

კვირაში ერთხელ მოდიოდა და ყოველთვის დიდის სიბრალულით შევყურებდი იმის დაქანცულს სახეს, დაკოძიძავებულს თითებსა და გახუნებულს კაბას.

ერთხელ—მაშინ დაიწყო ჩემი ტანჯვაც—მარგარიტა ახალის კაბით მეწვია და ძალა-უნებურად იჭვი დამებადა, თუმცა-კი თვალებში მოურიდებლად შემომცქეროდა და ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ჩემს კაბასა ჰსინჯავ?.. კლოტილდამ მომცა, ხომ იცნობ კლოტილდას, ჩემს მეგობარს, იმ ღამეს რომ ერთად ვიყავით. იმას ეხლა ძალიან უხვი და შეძლებული მეგობარი ჰყავს. ჰნახა ჩემი გახუნებული კაბა და თავისი მაჩუქა. გადაკეთებაც-კი ცოტა დასჭირდა. განა სულ ახალს არა ჰკავს?

სიცრუეა, სიცრუე პირველ სიტყვიდგან დაწყებული უკანასკნელამდე. არასოდეს არ უხსენებია მარგარიტას კლოტილდა თავის მეგობრად. ისინი შემთხვევით ერთს ეზოში იდგნენ და ბალშიაც ერთად დაიარებოდნენ ეს იყო და ეს.

სტყუოდა და მეც მატყუებდა. კლოტილდას და იმის ვითომ-და უხვის საყვარლის ამბავი მტკნარი სიცრუე იყო. კარგად დავრწმუნდი, რა-კი დავინახე იმისი ძირს დაშვებული თვალები და აკანკალებული წამწამები.

მზად ვიყავ ერთიან ყვედრებად გადავქცეულიყავ და მთელი ალიაქოთი ამეტეხნა, მაგრამ შემეშინდა, ვაი თუ სულ თავი დამანებოს და ჩემს სანახავად აღარ მოვიდეს-მეთქი, და თავი შევიმაგრე. ის-კი მაინც ლაპარაკობდა და მიამბო, რომ ეხლა დღეში ორ მანეთს ვილებ, იმდენი სამუშაო მაქვს, რომ მარტო ვერ ვასწრობ და უნდა დავიხმარო ვინმეო.

დარწმუნებული ვიყავ, რომ უსინიდისოდა სცრუობდა, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ ბრაზი მარჩობდა, გარეგნად არა შევიმჩნიე-რა. მარგარიტა მხიარულად გამომეთხოვა და გულით დაჯერებული იყო, რომ მოვატყუეო.

მაშ აგრე, მარგარიტა, მატყუებდა რაღა. ვიდრე მე საპატიმროში ვემწყვდიე, ის საყვარლებს იჩენდა. დღეს ახალი კაბა ეცვა, ხვალ სხვა რამ ექნება ახალი. დღეს თუ მომატყუა, იმიტომ რომ შემდეგისთვის ნიადაგი მოემზადებინა და იმის ახალთ-ახალი ტანისამოსი ისე აღარ მეუცხოვა.

ისიც-კი არ მოსვლოდა ფიქრად ჩემთან წამოსვლისას, რომ ტანისამოსი გამოეცვალა და ისევ ძველები ჩაეცვა! არა, ისევ ის ერჩია, რომ სიცრუეს ვეტყვი, ათასს რასმე მოვაჭორებ, ალბად ამას ჰფიქრობდა: „თუ არ დამიჯერებს-და, მით უფრო ცუდი იმისთვისაო!“ ოჰ, სულელო, უსირცხვილო არსებავ! მერე და იმისთვის გავიუპატიოსნე და გავიუნამუსე თავი!

კარგი, მაგრამ თუ ასეთის სამაგლობის ჩადენა შეუძლიან, თუ არ ვუყვარვარ, რაღად მოდის ჩემს სანახავად! ოჰ, ღმერთო! რადა-და, ისე, მოწყალების გულისთვის, ასევე წაუღებდა ასასის ცოლს ფორთოხალს, ავად რომ ყოფილიყო და საჭკუ-ნალოში წოლილიყო ეს დედაკაცი.

ვაი, სირცხვილო! სიბრალულით მოდის! საშინელს მდგომარეობაში გავატარე მთელი კვირა და ეს ფიქრები თავიდგან არა მშორდებოდა. შემდეგ შიშმა ამიტანა: „მეორედ რომ აღარ მოვიდეს-მეთქი?“ ვეკითხებოდი ჩემს თავს. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა საშინლად მიყვარდა მაინც და მაინც მარგარიტა.

ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ იჭვით ნაქენჯნს გულს არავის დავანახვებ-მეთქი, და შევასრულე კიდეც ეს პირობა.

კიდევ მოვიდა. არ შევცდი: ეხლა ახალი საზაფხულო შლიაპა ეხურა და სახითაც ფერზედ მოსულიყო, დაესვენა. კვლავ ათასი სიცრუე მითხრა. თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომ-და ყველაფერი მჯერა-მეთქი, რასაც ის ამბობდა, იმასთან ერთად ვსიამოვნებდი, რომ ჩვენი საქმე ასე კეთილად მიდიოდა, და, როცა წასვლა დააპირა, ვსთხოვე, რომ ხელთათმანი გაიძრე და ხელი გამომიწოდე-მეთქი. კოცნის დროს კარგად შევნიშნე, რომ ნემსის ნაჩხვლეტი აღარ ეტყობოდა თითებზედ... მაგრამ აგერ საპატიმროს საათმა თორმეტის ნახევარი დაჰკრა. სანთელი ხაცაა ჩაიწვება.

ავეჩქაროთ ცოტა.

დრო რომ ნებას მაძლევდეს, ვეცდებოდი თითო მარცვლობით ამენუსხა ჩემ მიერ გამოვლილი ტანჯვა-წამება, ის გულის დუღილი, რომელიც ამ ორს, ერთმანეთთან მეტად შეუფერებელს, სიტყვაში გაისმის: „იჭვიანი პატიმარიო!“

დიალ, მწარე სიხარულს ვიგრძნობდი, წვლილად რომ ამეწერა ის ჯოჯოხეთური სატანჯველი, რომელსაც გამოვივლიდი ხოლმე მარგარიტას ყოველ ნახვაზედ. განსაკუთრებით ერთი საღამო ჩამრჩა გულში, საშინელი საღამო, და იმას ავწერ.

იმ დღეს მარგარიტას მოლოდინში ვიყავ და ვცდილობდი ჩემი თავი დამერწმუნებინა, რომ მეტის-მეტად იჭვიანი ვარ, ყმაწვილი ქალი ადვილად შეიძლებს-მეთქი თავისის შრომით ფალას-ფულასისათვის საჭირო

რაშვილს და არც არავისთან მქონია ჩხუბი შუაბაზარში.

ალექსანდრე ბესარიონის ძე კალანდარაშვილი

## რუსეთი

ამ დღეებში ქალაქ მოსკოვში გარდაცვლილა რუსეთის გამოჩენილის კრიტიკოსის ბესარიონ გრიგოლის ძის ბელინსკის მეუღლე, 89 წლის ქვრივი მარიამ ვასილის ასული. მარიამ ბელინსკისა ამ უკანასკნელს 10 წელიწადს სულ მოსკოვში სცხოვრობდა.

— ხერსონესის მაზრაში მდიდარი რკინის მადნები გამოჩენილა.

— საშინელი და ფრიად შემაძრწუნებელი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია გლეხს ივანე ვლოდარჩინს სოფელს სპიჩინში, ლიუბლინის გუბერნიაში. ამ რამდენსამე დღეს წინად ვლოდარჩინის ცოლი მახლობელ სოფელში წასულიყო რაღაც საქმისთვის; შინ დარჩენილიყო მამა და იმისი ორი მცირე-წლოვანი ვაჟიშვილი. უეცრად, თითქოს ჭკუაზედ შეიშალაო, წამოვარდნილა მამა, აუღია ცული, ჯერ ერთის შვილისთვის მოუჭრია თავი, მერე მეორესთვის. უფროსს, 7 წლის იოსებს, და უმცროსს, 2 წლის სტანისლავს, საშინელი ყვირილი მოერთოთ, მაგრამ მეზობლებს ყური არ ეთხოვებინათ, რადგანაც ჰგონებოდათ, რომ იცელქებდნენ ყმაწვილები და იმიტომ თუ სცემს მამაო. ნამდვილი მიზეზი ამ ბოროტებისა ჯერ არავინ იცის. მეზობლები ჰფიქრობენ, რომ ვლოდარჩინს იჭვი ჰქონდა, ჩემები არიან შვილები, და იმიტომ დახოცაო.

— ვარშავაში ერთი კარგად ჩაცმულ-დახურული ქალი მისულა ქალაქის იფრინდასთან № 419, გადაუცია წერილი და პატარა ბოღჩა და უთქვამს, ამა-და-და-ამასთან წაიღეო. პატარა წამდგარა თუ არა, იფრინდას შეუნიშნავს, რომ ბოღჩაში რაღაც ჩუჩუნებსო და შემდეგ ხმა გაუგონია ახალ დაბადებულისა. მაშინვე გამობრუნებულა, მაგრამ ქალი ველარსად უნახავს. ასე გაბედულად იმიტომ მოქცეულა ეს ქალი, რომ პოლიცია ცქვიტად ადევნებს თურმე ყურსა და სასტიკადა ჰსჯის იმათ, ვინც ბავშვს მიაგდებს სადმე.

— რუსეთის სწავლულები აპირობენ მეორედ გამართონ კრება ფსიხიატრებისა. ეს კრება უნდა მოხდეს ქალაქ მოსკოვში სწორედ იმავე დროს, როცა მკურნალთა საზოგადოება შეიკრიბება ნ. ი. პიროგოვის პატივსაცემლად.

— მომავალს სამოსწავლო წელს პეტერბურგის გუბერნიის ზოგიერთ სავერო სასწავლებელში შემოიღებენ საღამოს გაკვეთილებს. ამ გაკვეთილებზე უნდა იარონ პირველ დაწყებით სასწავლებლებში სწავლა-გათავებულმა ყმაწვილებმა და ანგარიში ისწავლონ.

— ამას წინად ქალაქ სტავროპოლში ერთი სასაცილო საქმე გამოუძიებია ადგილობრივ გამომძიებელს: გლეხს კუზმა იუდინს 50 თუმანი ჰმართებია ვაჭრის კირსანოვისა. მისულა იუდინი, მიუტანია ცოტაოდენი ფული, და უთხოვნია კირსანოვისთვის, ვექსილზე წააწერეთ, რასაც გაძლევო. კირსანოვს ამოუღია ვექსილი და იუდინისთვის მიუწოდებია. უგდია თუ არა გლეხს ხელში ვექსილი, მაშინვე კარებისკენ მოუსვამს და გაქცევა დაუპირებია, თანაც ვექსილი პირში ჩაუდევია და ჭამა დაუწყია. ყვირილი დაუწყიათ, ხალხს მოუყრია თავი და იუდინი გაუკავებიათ. საჩქაროდ პოლიციაც მისულა, გაუჩხრეკია და პირიდგან ქაღალდის ნაჭრები გამოუღია. დაღეჭვა და ჩაყლაპვა თურმე ველარ მოესწრო.

## უცხოეთი

გერმანია. გერმანიის რეიხსტაგმა მღივს, როგორც იყო, დაამტკიცა სამხედრო კანონი, თუმცა იმას-კი ვერავინ იტყვის, რომ მთავრობას სრულიად გაემარჯვნოს. ეს გამარჯვება მთავრობისა დამარცხებას უფრო ჰგავს. პარლამენტმა პირდაპირ ბრძოლა ვერ გაუბედა მთავრობას და მხოლოდ იმას დასთანხმდა, რომ მშვიდობიანობის დროს 18,000 კაცი მიემატოს ჯარს, ხოლო სამხედრო მინისტრის სურვილს-კი, რომ მთელი ერი შეიარაღებულ იქმნესო, სრულიად წინა აღუდგა. კლერიკალთა მეთაურის ვინდჰორსტის წინადადებისამებრ, რეიხსტაგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ჯარის აღჭურვას თავი უნდა დაანებოთ და სამხედრო სამსახურის ვადად ორი წლიწადი დაანიშნოთ. მთავრობამ, მალ-უნებურად, ოღნავ დაჰყვა რეიხსტაგის ნებას, და გამოაცხადა, რომ ამიერიდგან ყოველ წლივ 6,000 ჯარის-კაცს დაითხოვენ უვადოდ ორის წლის სამსახურს შემდეგაო. რაღა თქმა უნდა, მოწინააღმდეგენი ამას არ დასთანხმდებიან და თანდათან უფრო აისრაგებულებენ თავისას მდგომარეობით. ეხლა ეს სამხედრო კანონი თუ დამტკიცებული იქმნა, ისიც კლერიკალების წყალობით, ვინაიდგან ამ კანონის წინააღმდეგნი იყვნენ თავისუფლად მოაზრენიც, სოციალისტებიც და კლერიკალთა დასის ზოგიერთნი წევრნიც. რაღა თქმა უნდა, კლერიკალები ამ მომხრობისათვისაც ჯილდოს მოითხოვენ რასმე და ძნელად თუ მოურიგდეს მათ კანცლერი კაპრივი. ამ გარემოებათა გამოისობით მთავრობამ საჩქაროდ დაჰხურა სესია 18 ნოემბრამდე და საზაფხულოდ ის მოიდო, კითომდა უოკლეივე მორიგი საქმე უკვე განხილულია და ავად თუ კარგად გადაწყვეტილიო, თუმცა სამხედრო და საბიუჯეტო საგანთა გარდა არც ერთი სხვა კანონ-პროექტი არ განუხილავს პარლამენტს.

— ხმა დადის, რომ იმპერატორს ვილჰელმს ჯერ სულ თავი არ დაუნებებია თავის სოციალურ ცვლილებათა შემოღების საქმისათვის, თუმცა ეს საქმე დროებით შემდგარია ამ ჟამადაო. ბერლინში ამბობენ, რომ საიმპერიო კანცელარია მზადებაშია და განზრახვა აქვს ახალი საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიოს მუშათა საქმის შესახებ, მხოლოდ ამ ხელად ყოველ სახელმწიფოდგან ორ ორი წევრი იქნება მოპატიჟებულიო. ეს ხმა თითქმის თვით იმპერატორმაც-კი დაასაბუთა იმითი, რომ ამას წინად კრუპის ქარხნის მუშებს უთხრა: „გულითადად გმადლობთ, გერმანიის მუშებო, თქვენის ერთგულების ყოფა-ქცევისათვის. თქვენი ასეთი საქციელი აშკარად ამტკიცებს, რომ ჩემი სურვილი შეგიგნიათ და იმ გზასა და კვალს მისდევთ, რომელზედაც მე ვდგევარო“. მაგრამ რა ეს, ბერლინში ამას გარდაც ბევრი სხვა-და-სხვა გვარი ხმა დადის. მაგალითებრ, ამას წინად ხმა გავარდა, რომ კაპრივი სამსახურს თავს ანებებს და იმის მაგიერად გრაფი ვალდერზეე ინიშნებაო, თუმცა აქამდე ეს ხმა არაფრით გამართლებულა. ამას გარდა არავინ იცის ისიც, რეიხსტაგის არჩევნებზედ გამოვა თუ არა კანდიდატად ბისმარკი, თუმცა ერთის დეპუტატის ადგილი სცადა დაიცლება, რადგან მაკელი ფინანსთა მინისტრად დანიშნეს და დეპუტატობას-კი თავი დაანებს. აი ამის შესახებ რასა სწერს თ. ბისმარკის გაზ. „Hamburger Nachrichten“-ი: მაკელის სამაგიეროდ Kaiserbautern-ის ოლქიდგან ბისმარკს სთხოვეს დეპუტატად ყოფნა, ხოლო რეინის ნაციონალ-ლიბერალებმა უარი განაცხადეს და სთქვეს, რომ რეიხსტაგის კანდიდატობას არ ვკისრებ იმ დრომდე, ვიდრე ისე არ შეიცვლება გარემოებანი, რომ მთავრობის წინააღმდეგობა არ დამჭირდესო. ერთის სიტყვით, თ. ბისმარკი იმ დროს ელის, როცა ისევ ამას მიქმართავენ. ბისმარკი განსაკუთრებით კონსერვატორებს უწყრება, რადგან ისინი მე გადმიდგნენ და ახალს მთავრობას ეალერსებიანო. რაც შეეხება ნაციონალ-ლიბერალებს, ზემოხსენებულის გაზეთის სიტყვით, თავადი უფრო იმათკენ არის და თუ იკისრებს კანდიდატობას, ისევ იმათის კანდიდატობას იკისრებსო. როგორც ჰხედავთ, დეპუტატად ყოფნის საქმე-კი ჯერ-ჯერობით გადაუდვია ბისმარკს, მხოლოდ ეხლავან მოგზაურობა განუზრახავს და ზოგიერთი გერმანიის ქალაქი უნდა მოიაროს.

## წვრილი ამბები

ყველას გაუგონია, რა არის ტელეფონი. ამ მანქანას ორი ყური აქვს, წვრილისა და გრძელის მავთულით შეერთებული. ერთს ყურში რომ ვინმე ჩასძახოს და ილაპარაკოს, მეორე ყურში შეგიძლიათ გაიგონოთ. ტელეფონის საშუალებით ახლა დიდ-ქალაქებში კარგა შორს მანძილზე ელაპარაკებიან ერთმანეთს. ახლა ეს მანქანა ისე მოუწყვიათ, რომ, ხმის გაგონების გარდა, სახესაც ცოცხლად დაინახავთ თურმე იმისას, ვინც ელაპარაკებათ.

— ამას წინად იტალიისა და საფრანგეთის ჯარის რამდენიმე რაზმი საზღვარზე შეიყარა, რუკის საშუალებით მაინცა განსაზღვრეს, სად იყო მიჯნა, და ზღვარი გაავლეს. სამხედრო კანონი სასტიკად აღუკრძალავს ჯარის კაცს, ნებადაურთველად, სხვა სახელმწიფოს საზღვარზე გადააბიჯოს, და ამიტომ, თუმცა იტალიისა და საფრანგეთის ოფიცრებს ერთმანეთის ნახვა ძალიან აამათ და ერთად დროების გატარება უნდოდათ, მაგრამ ვერც ერთს საზღვარს იქით ფეხის გადადგმა ვერ შეეძლო. ბოლოს ერთი გძელი სუფრა მოიტანეს, ზედ მიჯნაზე დადგეს და ოფიცრები-კი თავ-თავის ქვეყნის მიწაზე დასხდნენ და ისე შეექცნენ თურმე.

— დღეს ინგლისურად 125 მილიონი ადამიანი ჰლაპარაკობს თურმე, ფრანგულად—50 მილიონი, გერმანულად—70 მილიონი, ისპანურად—40 მილიონი, რუსულად—70 მილიონი, იტალიურად—30 მილიონი და პორტუგალიურად—13 მილიონი.

— როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, საფრანგეთის მინისტრად ყოფილი გენერალი ბულანჟე თავის სამშობლოს საპოლიტიკო სამსჯავროს გაჰქცა და დღეს ჯერსეის კუნძულზე დაუდგებული. ამას წინად ამ კუნძულიდგან ერთი ხომალდი საფრანგეთისკენ უნდა წამოსულიყო და ბულანჟე ამ ხომალდის სენაკში ერთს თავის ამხანაგთან, გამოთხოვებისას, ღვინის სმასა და ბაასს შეექცეოდა. ცოტა ხანს შემდეგ ბულანჟემ იგრძნო თურმე, რომ ხომალდი დაიძრა, ამოვარდა ზევით ბაქანზედ და წარმოიდგინეთ იმისი მდგომარეობა, ხომალდი საფრანგეთისაკენ მიაქანებდა. ბულანჟე მაშინ აიტანა, მაშინვე კაპიტანთან მიირბინა და შეევედრა, მიშველე, ამ მოულოდნელის გაჭირვებისაგან დამიხსენიო. კაპიტანი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ როცა გაიგო, ბულანჟეაო, ხომალდი ისევ გააბრუნა თურმე უკან, და ბულანჟე ნაპირზედ გადასვა.

— როტშილდის სახლს ერთი საათი უყიდნია 336,000 მანათად. ამბობენ, ეს საათი საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთექვსმეტემ გააკეთაო.

— გერმანიის ერთ პატარა ქალაქის სასადილოში ერთი თირკმელებ-დასუსტებული დედაკაცი მისულა. ექიმს უკითხავს, ლუდს ხომ არ სვამდითო. „ერთობ ცოტას, ჩემო ბატონო“. —მაინც, დღეში რამდენს ჭიქას მიირთმევდით? — „ათს დიდს ჭიქას, მეტს არა“. —თქვენი მეზობელი და ნათესავი ქალები? — „ისინი-კი საკმაოდ ბევრსა სვამენ, ასე 25, 30 ჭიქას დღეშიო“, უპასუხა ავადმყოფმა დედაკაცმა.

— ევროპის შესანიშნავს არტისტ-ქალს სარრა ბერნარს ფეხი სტკივა და

---

ფულის მოპოვებას. განსაკუთრებით-კი ერთმა ამბავმა დამიმშვიდა გული. არასოდეს მენახა, რომ მარგარიტას, რომელიც დაურიდებლად მეჩვენებოდა სხვა-და-სხვა ტანთ საცმელში, ერთი ოქროს ნივთი მაინც ჰქონოდა ზედ. ერთად-ერთი ძვირფასი ნივთი, რომელიც-კი იმას ეტარებინა როდისმე, ჩემ მიერ ნაქურდალის ფულით ნაყიდი სამაჯური იყო, და ისიც ხომ დიდხანს არ შერჩა.

მანამდე-კი არავითარს სამკაულს არ ატარებდა და ოქროული ძალიან სძულდა. ასე წარმოიდგინეთ, ყურებიც-კი არა ჰქონდა სასაყურეებ გახვრეტილი. ხოლო ამ დროს ისიც მომაგონდა, რომ მართალია, თითებზედ ბეჭდები არა ჰქონდა, მაგრამ არც ხომ ნემსის ნაჩხვლეტი ეტყობოდა-მეთქი.

ხანდახან იმასაც ვამბობდი ჩემდა თავად, რომ მარგარიტას აქვს ბეჭდები, გულის ქინძისთავი და სამაჯურიც-კი, მაგრამ საპატიმროში წამოსვლის დროს არ იკეთებს-მეთქი.

მაგრამ იმ დღეს კარგს გუნებაზედ ვიყავ, მინდოდა როგორმე დამემტკიცებინა ჩემი უსამართლობა და ათასს აზრში მხოლოდ ის მივიჩნიე შესაძლებელად, რომელიც მარგარიტას ამართლებდა და იმის სასარგებლო იყო.

ჩვეულებისამებრ, მარგარიტა დღესაც მოვიდა. მოუახლოვდა თუ არა მოაჯირს და შევხედე თუ არა, მაშინვე დავუნახე ყურის ბიბილოებზე ორი, ახლად ნაჩხვლეტი საყურის ალაგი. ოჰ, ბოროტო წინად-გრძნობავ!

სასაყურე ადგილი აქვს და აშკარაა ძვირფასი ნივთებიც ჰქონია იმ დედაკაცს, რომელსაც ყალბი ქვა არასოდეს არ უტარებია. მარგარიტა ატარებს მარგალიტის, ან ბრილიანტის საყურეებს და, რასაკვირველია, ზრდილობიანობის გამო, მხოლოდ მაშინ იხსნის, როცა ჩემთან აპირობს წამოსვლას!..

ამ დღიდგან იჭვიც-კი აღარა მქონდა, რომ მარგარიტა მღალატობდა, და თავის მოკვლის ფიქრს შევუდექ. დიდი ხანი დრო იყო, ბოლო მომელო და მოვრჩენილიყავ და გამეთავებინა, მაგრამ... რას იზამ! მამაცობა და გამბედაობა არ შემწევს, სიკვდილს ვუფრთხი და, ესეც რომ არ იყოს... ესეც რომ არ იყოს, უნდა ვაღიარო, მაინც კიდევ მიყვარდა ეს დედაკაცი. უკანასკნელს უძლურებამდე მივაღწიე! ხანდახან იმასაც-კი მზად ვიყავი, რომ დავბრუნებულიყავი მასთან, მისი სიყვარული სხვასთან ერთად გამენაწილებინა, ყოველივე დამცირება და სირცხვილი ამეტანა. ჩემს თავს მევე დავცინოდი, ჩემს იჭვიანობას მევე ვიგდებდი მასხარად: „ქურდი ხარ და ძალიან ნუ იპრანჭები და თავი ნუ მოგაქვს მწვანე კატრივით-მეთქი“, ვეუბნებოდი ჩემს თავს. მაგრამ არა, ამდენი აღარ შემიძლიან, ძალი და ღონე არ შემწევს. რა-კი გამიელვებდა თავში, რომ იგი თავს იყიდდა, როცა მე საპატიმროში ვიყავ დამწყვდეული, ცოფები მომერეოდა ხოლმე... ჭკუიდგან ვიშლებოდი.

დიაღ, წყლანაცა ვსთქვი, მე შემეძლო ხვალ დილით იმასთან ერთად მესაუბმა ჩვენს პაწია ოთახში, რომლის ფანჯრებიდგანაც საუცხოვოდ გაშლილი და ამწვანებული ბაღი სჩანს. ჰო, საუცხოვო იქნებოდა, თავისუფლად რომ ვყოფილიყავ და ერთი კიდევ მენახა... მაგრამ შემთხვევით ნაცარში ჩაგდებული გუშინდელ სტუმრის სიგარის ნამწვი რომ მენახა, აღარაფერს დავერიდებოდი, წამოვავლებდი სტოლიდგან დანას და შიგ გულში დავცემდი. არა, არა, კაცისმკვლელად არ მინდა გავხდე, ქურდად ყოფნაცა კმარა. სუყველაფერს ისევ სიკვდილი სჯობია... სიკვდილი დინჯი, აღუშფოთებელი... სჯობია, მოვუღო ბოლო ამდენს ვაისა და ვარამს და თან იმასა ვფიქრობდე, რომ ეს სწორედ აგრე უნდა მომხდარიყო, აუცილებელი იყო, ისიც თავისებურად გულ-წრფელად მომექცა და იქნება ცოტაოდნად არის ვუყვარდი კიდეც იმ დღეს, როცა პირობა მომცა, რომელიც ვერ შემისრულა-მეთქი.

მშვიდობით, მარგარიტავ! მართალი რომ სთქვას კაცმა, ბოროტი არ იყავ, და როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავ, ვიცი, მდუღარებას გადმოაბნევ. ასე მგონია. მაგრამ შემდეგ-კი, როცა რამდენიმე ხანი გაივლის და ერთ-ერთი შენი დროებითი საყვარელთაგანი გთხოვს, მოჰყვენილი ვარ, გამართე, შენი თავ-გადასავალი მიამბეო, შენც, შენთა მსგავსთამებრ, თავის მოწონებას მოინდომებ: გაიქცევი, ამოიღებ ამ ფურცლებს კამოდიდგან, სადაც სათამაშო ქაღალდი და შენ მიერ დაგირავებულ ნივთების ბარათები გაქვს შენახული, და შენს სტუმარს წააკითხებ სიამაყითა და თავმოწონებით, რომ აი, ჩემის გულისთვის ერთმა თავიც-კი მოიკლაო...

ააა!.. შუაღამემ დაჰკრა... სანთელი ჩამიქრება. უკვე დავახიე და დავგრიხე ზეწარი. მოაჯირი მაგარია და კარგად გამიძლებს... მაშ აბა თამამად მივყოთ საქმეს ხელი. გათავების დროა!

—ან—

ამას წინად ხმა გავარდა კიდეც, რომ ქქიმებს გადუწყვეტიათ, მეტი გზა არ არის, ისე ვერ მორჩება, თუ ფეხი არ მოეჭრაო. ერთმა ამერიკელმა გაზეთმა ამ ამბავს მოჰკრა თუ არა ყური, სარრა ბერნარს მაშინვე დეპეშა გაუგზავნა თურმე და სთხოვა შენი მოჭრილი ფეხი მომყიდეო. ამასთანავე ამ კაცს არტისტ-ქალისთვის ისიც უცნობებია, თუ რაში უნდა გამოიყენოს ეს მოჭრილი ფეხი: „ფეხს მაშინვე შევმურავ, მერე მთელს ამერიკას შემოვივლი და ყოველს ქალაქ-ში მსურველთ ვაჩვენებ ხოლმეო. ამას-თანავე გაცნობებთ, რომ ჩემ მიერ გა-მოგზავნილი ორი კაცი მალე გესტუმ-რებათ ამ საქმის შესახებ მოსალაპა-რაკებლადაო“.

# დეპეშა

4 ივლისი

პეტერბურგი. ამბავი მოვიდა, რომ ტამბოვის გუბერნიაში გარდაცვლილა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზ-ჳ-უნველი ნოვიკოვი.

„Гражд.“-ი იუწყება: ფინანსთა სამინისტროში შეტანილია იმის პრო-ექტი, რომ სავალდებულო იყოს მუ-შათა უბედურებისაგან საურთიერთოდ დაზღვევაო.

„Нов. Вр.“ ამბობს: რადგან ავ-სტრო-ვენგრიის ელჩმა იშუამდგომლა, რომ რაც შეიძლება მეტი შეღავათი მიეცეთ იმ ექსპონენტებს, რომელნიც თავის საქონელსა ჰგზავნიან ავსტრი-ვენგრიის სამეურნეო და სატყეო გა-მოფენაზედ და აგრეთვე იმათ, რო-მელნიც ამისთანავე კონგრესზედ და-სასწრებლად მიდიანო. დადგენილია, რომ სრული ხარჯი გამოერთვათ გა-მოფენაზედ გასაგზავნ საქონლის ექს-პონენტებს, ხოლო იქიდგან-კი მუქ-თად მიეცეთ ნება საქონლის წამო-ღებისაო.

„С.-Пет. Вѣд.“-ის გაუგონია, რომ განზრახვა აქვთ განსაკუთრებული სა-მაგალითო სახელოსნოები დააარსონ, რათა ბლომად მომზადდეს ხელოსნე-ბი მჭედელი, თოქმაჩი, ეტლების გამ-კეთებელი და ზეინკალიო. განზრა-ხვა აქვთ აგრეთვე საფეიქრო სახე-ლოსნოებიც გამართონო.

ლონდონი. მესამე კითხვის შემ-დეგ ლორდთა პალატამ გადასწყვიტა, რომ ჰელჰოლანდი გერმანიას დაეთ-მოსო.

მადრიდი. გუშინ ვალენციის პრო-ვინციაში 19 კაცი გახდა ხოლერით ავად და ამათში 11 გარდაიცვალა.

პარიჟი. ზანზიბრის შესახებ საფ-რანგეთი თხოულობს, რომ ინგლის-მა კანონიერად აღიაროს საფრანგე-თის უფლება მადაგასკარში უცხო სა-ხელმწიფოთა კონსულების დამტკიცე-ბისა, ხოლო ნუღარ შეეცილება ნი-გერში თავისუფლად მოქმედებისას და ამას გარდა 1896 წელს გააუქმოს ტუნისის სავაჭრო ხელ-შეკრულობაო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივლისი.

| | მყიდველ-ნი. | გამყიდვე-ლნი. | გაყიდუ-ლია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 89 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | $137^3/_4$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 12 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინა-განის სესხის მომგები ბილეთი . . . | $226^1/_2$ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | $216^1/_2$ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | $212^3/_4$ | — „ | $211^1/_2$ |
| გირაონობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — „ | — „ | 100 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | $99^3/_4$ |
| ტფილისის საურთიერ-თო ნდობის საზოგა-გადოებისა. . . . | 89 „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 16 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | $4^1/_2$ | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 | |
| „ 2 „ | $2^1/_2$ | |
| თორნის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | $3^1/_2$ | |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათო-ბით ნავთსადგურის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შო-რის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შე-ივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გა-რეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშა-ბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსი-ისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშა-ბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუ-მიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთ-შაბათობით — დილის 9 საათზე და მია-სწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კა-ვკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატო-ლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარა-სკევობითა და კვირაობით. რაკი გე-მი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მო-დიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

# განცხადებანი

მის. ალ. ნასიძე

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუ-კიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდებულად მოწაფეთ მო-სამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასის-თვის. (15—9)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახა-ლი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წი-ნასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პი-ესებს შესახებ, და მოთხრობილია ავ-ტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა - კითხვის გამა-ვრცელებელ საზოგადოების“ წი-გნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ - მადიდე-ბელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რი-ცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომ-კაცი», — სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკი-სროს.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოე-ბის წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრა-მა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურ-ცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველო-ში რუსეთთან შეერთე-ბამდის, ისტორიული გა-მოკვლევა ა. ხახანაშვი-ლისა . . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერე-კლე ბატონიშვილისა ლე-გენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტო-რიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდი-ული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის საავთიაქო საქონ-ლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმისად:

## ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გა-უტყდა რამე), საგზრაბლოში გოგირდის ფხვნილისათვის, საუკე-თესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე გ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმისად“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—24)




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბ ე რ ლ ი ნ შ ი

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

## ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორვედის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხვი, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც პარიზელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მან-ზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—33)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცე-მა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

გადისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყიდიანს „დედა ენას“ წაილებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სა ხმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა — ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს — სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შა-ური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Д. з. ценз. Тифлисъ, 4-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Бароновской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე